



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 009/14¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სალომე ჩიკვილაძე (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მას დაპირდა, რომ სიმართლეს აუცილებლად დაამტკიცებდა და გათავისუფლდებოდა პატიმრობიდან. ამასთან საჩივრის ავტორი უთითებს იმაზე, რომ არსებობდა ვიდეო ჩანაწერები, რომლითაც დადასტურდებოდა მისი უდანაშაულობა და ამ მტკიცებულების მოპოვება ადვოკატმა ვერ შეძლო. ადვოკატმა თითქოს დააყენა შუამდგომლობა ფირების ამოღების შესახებ, მაგრამ უარი უთხრეს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა სადავოდ არ გახადა პროკურატურის მტკიცებულებები და მისთვის გაუგებარია ამის შემდეგ ადვოკატი როგორ აპირებდა მის გამართლებას. საჩივრის ავტორის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი მის ბოლო სამ პროცესს აღარ დაესწრო, მაინც არ წყვეტს მასთან ურთიერთობას, რადგან უნდა, რომ მისი თანდასწრებით თქვას ყველაფერი სასამართლო სხდომაზე, რასაც აქამდე არ ახმაურებდა. საჩივრის ავტორმა 2014 წლის 19 თებერვალს ეთიკის კომისიაში გამოაგზავნა დამატებითი ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად 2014 წლის 03 თებერვალს ადვოკატი ეთიკის კომისიასთან გასაუბრების შემდეგ დაუკავშირდა მის სიძეს, რომელსაც უთხრა, რომ მისთვის გადაცემულ ტელეფონს და სიმ-ბარათებს მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დაუბრუნებდა. აგრეთვე მასთან საუბრისას აღნიშნა, რომ „მ. ბ. არ არის ისეთი უცოდველი კრავი, როგორც მათ წარმოედგინათ“, რაც ძალიან შეურაცხმყოფელია საჩივრის ავტორისთვის. ადვოკატი ამტკიცებს, რომ კლიენტისთვის არ მიუცია გარანტია საქმის წარმატებით დასრულების შესახებ, ამასთან ადვოკატმა ყველა ზომა იხმარა იმისათვის, რომ მოეპოვებინა მტკიცებულებები, თუმცა მას არ შეეძლო ჩაეტარებინა გადაუდებელი ჩხრეკა-ამოღება შესაბამისად მისი ბრალეულობა ამ საკითხშიც არ იკვეთებოდა. 2013 წლის 28 დეკემბერს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობას ადვოკატი ადასტურებს და აღნიშნავს, რომ სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საადვოკატო ხელშეკრულების მხარის - დ. ბ-ის მიერ მისი ტრანსპორტირების ვალდებულების შეუსრულებლობით, თუმცა ადვოკატმა წინასწარ აცნობა გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოს, პროკურორს და ადვოკატისთვის ცნობილი იყო, რომ სხდომა გადაიდებოდა და კლიენტის ინტერესს მისი გამოუცხადებლობით ზიანი არ მიადგებოდა.

სამართლებრივი შეფასება

საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლის, ეთიკის კოდექსის 8.2 და 8.5 მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე (ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები). გადაწყვეტილებას ბრალის აღიარების, უდანაშაულოდ ცნობისა თუ საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე იღებს თავად კლიენტი და არა ადვოკატი. ადვოკატს ევალება გაახმოვანოს კლიენტის პოზიცია და სათანადოდ დაიცვას მისი ინტერესები, რაც კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებას გულისხმობს. საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე - ადვოკატის მიერ ვიდეოფირების ამოღების შუამდგომლობის არ დაყენების თაობაზე და პროკურატურის მტკიცებულებების სადავოდ არ გახდის თაობაზე ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს იმ

¹ <https://gba.ge/pdf/5c506b3349362.pdf/5c506b3349362.pdf>

გარემოებას, რომ ადვოკატის ქმედებები მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესების დაცვას და ნ. მ. საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ახორციელებდა მ. ბ-ს დაცვას. საჩივრის ავტორის მიერ არ წარმოდგენილა ისეთი მტკიცებულება, რომლის თანახმადაც ადვოკატი იმოქმედებდა მისი ინტერესებისა და ნების საწინააღმდეგოდ. რაც შეეხება, ადვოკატის კლიენტისათვის გაწეულ კონსულტაციას, ადვოკატი და კლიენტი ერთად ათანხმებენ სტრატეგიას, საპროცესო შეთანხმების შესახებ ადვოკატის რჩევა, ადვოკატის სტრატეგიის ნაწილია, რომლის არსებითი სამართლებრივი შეფასებაც ეთიკის კომისიის კომპეტენციას სცილდება, ვინაიდან ამ შემთხვევაში მთავარია ადვოკატი მოქმედებდეს კლიენტთან შეთანხმებით, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. საჩივრიდან და დამატებითი ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ საჩივრის ავტორს პრეტენზია არ აქვს საქმის მიმდინარეობის შესახებ ადვოკატის მიერ მისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის თაობაზე.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ არ დაადგინა ადვოკატის მიერ ადვოკატთა კოდექსის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის, 8.2 და 8.5 მუხლების დარღვევა და არ აღძრა დევნა ადვოკატის წინააღმდეგ.